



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი ქოსტავას ქ.№1

27 ივნისი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №176

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბაილეთის  
საბაგშვი ბაღის შენობა-ნაგებობის სარეგისტრაციო მონაცემებში  
(ს/კ 26.07.16.003.) ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი ოვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „საქართველოს ზოგადი  
ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

### კ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013  
წლის 17 მაისის „უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების  
უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ №139 ბრძანებაში შევიდეს  
ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქ.№175-ში მდებარე მრავალბინან  
სახლში არსებული საცხოვრებელი ბინების (ბინა 1 ოთახი 19.46კვმ.) (ბინა 2 ოთახი  
23.29კვმ.პირველი სართული) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების  
რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს,  
რათა განახორციელოს თანდართული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ პასპორტში  
მითითებული უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების  
უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების  
მიზნით“.

**მუხლი 2.** სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი  
ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს  
(პირ.№33001054782).

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ  
სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი სიორიძის  
ქ.№14).

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე